# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N 596 2016 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„ეკონომიკური საბჭოს აპარატის დებულებისა და საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №665 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ეკონომიკური საბჭოს აპარატის ლიკვიდაციის შესახებ

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე:

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეკონომიკური საბჭოს აპარატის დებულებისა და საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №665 დადგენილება.

**მუხლი 2.**

ლიკვიდირებულად გამოცხადდეს ეკონომიკური საბჭოს აპარატი 2016 წლის 31 დეკემბრიდან.

**მუხლი 3.**

1. ეკონომიკური საბჭოს აპარატის სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ.

2. აპარატის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ყველა დოკუმენტაცია გადაეცეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

**მუხლი 4.**

1. დადგენილება, გარდა პირველი და მე-2 მუხლებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**